ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2015460

ნომერი: AR1326026

თარიღი : 10.07.2015

გაცემის თარიღი : 15.07.2015

გაცნობის თარიღი : 16.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ბაღის ქ. 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ გაჩეჩილაძე პ/ნ 01008012422
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 63

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს #01/011171 11.03 2014 წლის წერილის თანახმად, მრავალბინიანი შენობა–ნაგებობების ეზოებში შლაგბაუმების და მსგავსი სახის მოწყობილობების განთავსება, რაც დააბრკოლებს სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას, გამოიწვევს სასწრაფო სამედიცინო და სხვა სამსახურების მომსახურების შესაძლო შეფერხებას, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს თანხმობა შლაგბაუმის მოწყობაზე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დამატებით წარმოსადგენი იქნება საკადასტრო გეგმა საპროექტო შლაგბაუმის დატანით.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.